# სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2020-2021 წლების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის სხდომის

# ოქმი № CON200000162-5

ქ. თბილისი „8" ივლისი, 2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

**ლევან რაზმაძე** - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

**ილია ბეგიაშვილი** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**ზურაბ ძნელაშვილი** - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

**ეკატერინე მიქაბაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

**გიორგი ბუთხუზი** - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

**ირაკლი ლექვინაძე** - სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

**აკაკი საღირაშვილი** - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

**ქეთევან ქადაგიძე** - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2020-2021 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (**CON200000162**) ფარგლებში მომსახურების გაწევის ვადის გაგრძელება არაუგვიანეს 2022 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

განხილვა:

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიის წევრებს მოახსენა, რომ ბაზარზე ფუნქციონირებადი სატელევიზიო არხების რეიტინგებს შორის განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომელთა ასახვა უნდა მოხდეს კონსოლიდირებული ტენდერების შესაბამის ლოტებში.

კონსოლიდირებული ტენდერების წარმატებით ჩატარებისა და პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის აუცილებელია შესაბამისი ბაზრის სეგმენტის სიღრმისეული მოკვლევა და სატელევიზიო არხებთან სამუშაო შეხვედრების გამართვა.

ამასთან, აუცილებელია მოლაპარაკებების განახლება და მომსახურების პირობების გადახედვა სატელევიზიო რეიტინგების გამზომველ კომპანიებთან.

კონსოლიდირებული ტენდერების წარმატებით ჩატარება ძალზედ მნიშვნელოვანია საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის უზრუნველყოფისათვის. გამომდინარე აქედან, საკითხის მაღალკვალიფიციურად გადაწყვეტისათვის, მიზანშეწონილია დამატებითი დროითი რესურსის გამოყოფა, რათა კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო პირობები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ითვალისწინებდეს მაქსიმალურად კონკურენტული და სამართლიანი გარემოს შექმნას ბაზარზე არსებული ყველა ბიზნეს სუბიექტისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული სატელევიზიო არხების თანხმობის გათვალისწინებით, აგრეთვე, „2020-2021 წლების განმავლობაში სატელევიზიო საეთეროს დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ნოემბრის N2394 განკარგულების მე-5 პუნქტის საფუძველზე, მიზანშეწონილია სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2020-2021 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (**CON200000162**) მოქმედების ვადა გაგრძელდეს ახალი კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

ამასთან, კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიის წევრებს შეახსენა, რომ 2021 წლის 27 აპრილის NCON200000162-4 სხდომის ოქმში მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით, მომსახურების გაგრძელებას 2022 წლის 15 იანვრის ჩათვლით კვლავ ვერ განახორციელებს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

**კომისიამ დაადგინა:**

1. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ნოემბრის N2394 განკარგულების მე-5 პუნქტის გათვალისწინებით, სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2020-2021 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON200000162) ფარგლებში მომსახურების გაწევის ვადა გაგრძელდეს 2022 წლის ახალი კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

2. სატენდერო კომისიის 2021 წლის 27 აპრილის NCON200000162-4 სხდომის ოქმში მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით, სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2020-2021 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (**CON200000162**) ფარგლებში მომსახურების გაგრძელებული ვადის განმავლობაში (15.07.2021 – 15.01.2022) შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ აღარ განახორციელებს ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.

3. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

4. წინამდებარე ოქმის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, გადაწყვეტილების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6 (საფოსტო ინდექსი - 0131).

**ოქმის რედაქცია შეთანხმებულია სატენდერო კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.**